# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 473

„18" დეკემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრისა" და ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის" რეორგანიზაციის (გაერთიანების (შერწყმის)) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ინტეგრირებული სპორტული ცენტრის" შექმნის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 აგვისტოს №318 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 61-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილის (2015 წლის 7 დეკემბრის №3/71628; საკრებულოში რეგისტრაციის №04/22138) საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრისა" და ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის" რეორგანიზაციის (გაერთიანების (შერწყმის)) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ინტეგრირებული სპორტული ცენტრის" შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 აგვისტოს №318 განკარგულება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი